„ქვეყანაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 იანვრის N224 განკარგულებით შექმნილი სამთავრობო კომისიის სხდომის ოქმი

N1

ქ. თბილისი 2018 წლის 15 თებერვალი

2018 წლის 15 თებერვალს გაიმართა „ქვეყანაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 იანვრის N224 განკარგულებით შექმნილი სამთავრობო კომისიის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან დავითაშვილი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) ზურაბ ალავიძე - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, კომისიის წევრი;

ბ) მამუკა ბახტაძე - საქართველოს ფინანსთა მინისტრი, კომისიის წევრი;

გ) დავით სერგეენკო - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, კომისიის წევრი;

დ) ქეთევან ციხელაშვილი - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, კომისიის წევრი;

ე) გიორგი ხანიშვილი -– საქართელოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

ვ) ოთარ დანელია -საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

ზ) კახაბერ კუჭავა - საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

თ) რომან კაკულია - საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

ი) ზაზა გაბუნია - საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

კ) ზურაბ პატარიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

ლ) გიორგი კვესიტაძეს - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი, კომისიის წევრი;

მ) გურამ ალექსიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი, კომისიის წევრი;

ნ) რომეო მიქაუტაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;

ო) ლევან კაკავა - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

პ) დავით ლომინაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის გეგმის განხილვა და დამტკიცება;
2. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ბიუჯეტის განხილვა;
3. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში ჩართული უწყებების მიერ გასატარებელი ღონისძიებები.

1. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა სხდომა გახსნა და კომისიის წევრებს გააცნო ქვეყანაში აზიური ფაროსანასთან დაკავშირებული მდგომარეობა, მიაწოდა ინფორმაცია სამინისტროს მიერ უკვე ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. ასევე, მან აღნიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. კერძოდ კი ბრძოლის ღონისძიებებში სახელმწიფო უწყებების ჩართულობა კომპეტენციების შესაბამისად და ასევე, კერძო სექტორის დროული ინფორმირება საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

ლ. დავითაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა და წარუდგინა ამ პროგრამის შესასრულებლად მომზადებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის გეგმა.

აზრი გამოთქვეს: ქ. ციხელაშვილმა, მ. ბახტაძემ, ზ. ალავიძემ, კ.კუჭავამ, ო. დანელიამ, რ. კაკულიამ, ზ. გაბუნიამ, ზ. პატარიძემ, გ. კვესიტაძემ, გ. ალექსიძემ.

დაადგინეს: დამტკიცდეს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა.

2. მოისმინეს: გ.ხანიშვილის ინფორმაცია, რომელმაც კომისიას წარუდგინა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის ბიუჯეტი.

აზრი გამოთქვეს: ლ. დავითაშვილმა, ზ. ალავიძემ, კ. კუჭავამ, ო. დანელიამ, გ. კვესიტაძემ.

დაადგინეს: დამტკიცდეს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ბიუჯეტი.

3. მოისმინეს: ლ. დავითაშვილის ინფორმაცია, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში ჩართული უწყებების მიერ გასატარებელი ღონისძიებები. კერძოდ:

ა) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო:

1. კოორდინაცია გაუწიოს სამხარეო ადმინისტრაციებზე, ადგილობრივ თვითმმართველობებზე გაცემული დავალებების დროულ და ხარისხობრივ შესრულებას;

2. შეადგინოს შესაბამისი გეგმა, რათა საჭიროების შემთხვევაში ქვეყნის მასშტაბით მოხდეს შესაბამისი ტექნიკით და ადამიანური რესურსების ორგანიზება;

3. საჭიროების შემთხვევაში საგზაო-სამშენებლო სპეცტექნიკის გამოყოფა (თუ საჭირო შეიქმნა ძნელად მიუვალ ადგილებში);

4. მუნიციპალიტეტებში ადამიანური რესურსის გამოყოფის ორგანიზება (ლოჯისტიკის ამოცანებში დახმარება);

5. სადგომები, საწყობები, საოფისე და საკონფერენციო ფართების გამოყოფის ორგანიზება;

6. მუნიციპალიტეტებიდან კადრების შერჩევა გადამზადებისთვის;

7. ტრენინგების ორგანიზებაში მონაწილეობა;

8. კარდაკარ პრინციპით გამოკითხვების (საჭიროებები, მონიტორინგისთვის მონაცემები) ჩატარებაში მონაწილეობა;

9. კარდაკარ პრინციპით საინფორმაციო-სასწავლო მასალის მიწოდებაში მონაწილეობა.

ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო:

1. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს რეგიონებში სამობილიზაციო ჯგუფების შექმნა, რომლი ჯგუფებიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობას გაუწევენ რეკომენდაციებს საცხოვრებელი სახლის პირობებში როგორ ებრძოლონ აზიურ ფაროსანას;

2. უზრუნველყოს შესაბამისი საინფორმაციო მასალების (ბუკლეტი, ბროშურა, ტრიპლეტი) დაბეჭდვა სახლის პირობებში აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რათა მოხდეს აღნიშნული საინფორმაციო მასალების მოსახლეობაში გავრცელება;

3. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეადგინოს შესაბამისი გეგმა, მუნიციპალიტეტებში მის საკუთრებაში და კერძო სამედიცინო დაწესებულებების საკუთრებაში არსებულ შენობა ნაგებობებში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე საკუთარი სახსრებით აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების (ქიმიური და მექანიკური ღონისძიებები) ეფექტურად ჩატარების შესახებ;

4. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეადგინოს შესაბამისი გეგმა-გრაფიკი მუნიციპალიტეტებში ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებული ადამიანების დროულ და სრულყოფილ ინფორმირებასთან დაკავშირებით მავნებლის წინააღმდეგ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;

5. უზრუნველყოს ამბულატორიების და სასწრაფო დახმარების მზადყოფნა (შემთხვევები შესაძლო მოწამვლა ან ფიზიკური დაზიანება);

6. შეიმუშავოს ადამიანის საცხოვრებელ დახურულ სივრცეში მოქმედების რეკომენდაციები;

7. უზრუნველყოს უსაფრთხოების ზომების დაუცველობით გამოწვეულ შემთხვევებზე პირველადი რეაგირების რეკომენდაციები.

გ) ფინანსთა სამინისტრო:

1. უზრუნველყოს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების გაცნობა;

2. საზღვრებზე გააძლიეროს ფიტოსანიტარული რეჟიმი.

დ) შინაგან საქმეთა სამინისტრო:

1. საჭიროების შემთხვევაში ადამიანური რესურსების გამოყენება;

2. საჭიროების შემთხვევაში სამაშველო ტექნიკის გამოყენება.

ე) განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:

1. მის სისტემაში შემავალი სამეცნიერო დაწესებულებების საკომუნიკაციო ურთიერთობის დამყარების ორგანიზება სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან.

2. სასწავლო დაწესებულებებში საინფორმაციო კამპანიების უზრუნველყოფა;

ვ) სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის სამხარეო ადმინისტრაციები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა:

1. უზრუნველყონ რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში მოხალისეების და სამობილიზაციო ჯგუფების შექმნის კოორდინაცია, რათა დროულად მოხდეს მათი დატრენინგება და მათი ჩართვა პროგრამის ეფექტიანად და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით;

2. რეგიონულ დონეზე შეადგინონ შესაბამისი გეგმა რეგიონში არსებული ტექნიკის მობილიზების შესახებ, რომლის გამოყენებაც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების პროგრამაში;

3. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად რეგიონულ დონეზე შეადგინონ შესაბამისი გეგმა, სახელმწიფო და თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე (სკვერი, პარკები, ბაღები, მუნიციპალური და სახელმწიფო შენობა-ნაგებობები და მიმდებარე ტერიტორიები) აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ღონისძიებების ეფექტურად ჩატარების შესახებ (ქიმიური მეთოდებით წამლობა, მექანიკური მეთოდებით ბრძოლა, ინფორმირება, ფინანსური რესურსების გამოყოფა, სხვა საორგანიზაციო საკითხები);

4. შეიმუშაონ გეგმა-გრაფიკი სამხარეო ადმინისტრაციაში და რეგიონურ სამსახურებში დასაქმებული ადამიანების დროულ და სრულყოფილ ინფორმირებასთან დაკავშირებით მავნებლის წინააღმდეგ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების ინფორმირების შესახებ;

5. კოორდინაცია გაუწიოს ადგილობრივ თვითმმართველობებზე გაცემული დავალებების დროულ და ხარისხობრივ შესრულებას.

ზ) ადგილობრივი თვითმმართველობები:

1. ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებმა (სოფლის რწმუნებულებმა) უზრუნველყონ ადმინისტრაციულ ერთეულებში და მასში შემავალ სოფლებში მოხალისეების შერჩევა, რათა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების მიერ მოხდეს მათი დატრენინგება და ჩართვა პროგრამაში;

2. მუნიციპალურმა სამსახურებმა უზრუნველყონ ადმინისტრაციულ ერთეულებში და სოფლებში მოხალისეების და სამობილიზაციო ჯგუფების შექმნის ორგანიზება;

3. შეადგინონ შესაბამისი გეგმა, მუნიციპალიტეტში არსებული ტექნიკის მობილიზების შესახებ, რომლის გამოყენება საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების პროგრამაში;
4. სამხარეო ადმინისტრაციებთან და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეადგინონ შესაბამისი გეგმა, ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე (სკვერი, პარკები, ბაღები, მუნიციპალური შენობა-ნაგებობები და მიმდებარე ტერიტორიები) აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ღონისძიებების ეფექტურად ჩატარების შესახებ საკუთარი სახსრებით (წამლობა, ინფორმირება, დაფინანსება);
5. თვითმმართველობის ბიუჯეტებიდან გამოყონ შესაბამისი ფინასური რესურსები მუნიციპალიტეტში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების ეფექტიანად ჩატარების მიზნით;
6. უზრუნველყონ ადმინისტრაციულ ერთეულებში და სოფლებში მოსახლეობის ორგანიზება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო კამპანის ჩატარებისთვის;
7. სამხარეო ადმინისტრაციებთან ერთად საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ საყანე ფართობებთან და თხილის პლანტაციებთან მისასვლელი გზების მოწესრიგება რათა შეუფერხებლად მოხდეს შესაბამისი ტექნიკით აღნიშნული ფართობების წამლობა.

თ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო:
1. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ მუნიციპალიტეტებში და სოფლებში დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში მომოხალისე ჯგუფების შექმნა რომლებიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების მიერ დატრეინინგდებიან და მოხდება მათი ჩართვა პროგრამაში;
2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაონ შესაბამისი გეგმა-გრაფიკი მუნიციპალიტეტებში დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში მოსახლეობის დროულ და სრულყოფილ ინფორმირებასთან დაკავშირებით მავნებლის წინააღმდეგ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

ი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს პრობაციისა და სასჯელაღსრულების სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო:

1. აღნიშნულმა სამინისტროებმა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაონ შესაბამისი გეგმა, მუნიციპალიტეტებში მათ ბალანსზე რიცხული ან და საკუთრებაში არსებულ შენობა ნაგებობებში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე საკუთარი სახსრებით აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების (ქიმიური და მექანიკური ღონისძიებები) ეფექტურად ჩატარების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ზ. ალავიძემ, მ. ბახტაძემ, ქ. ციხელაშვილმა, ო. დანელიამ, კ. კუჭავამ, რ. კაკულიამ, ზ. გაბუნიამ, ზ. პატარიძემ.

დადგინეს: დამტკიცდეს:

1. ლ. დავითაშვილის მიერ წარმოდგენილი სხვადსხვა უწყებების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები.

2. შესაბამისმა უწყებებმა, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყონ დამტკიცებული ღონისძიებების განხორციელება და პერიოდულად ინფორმაციის კომისიაზე წარმოდგენა.

სხდომის თავმჯდომარე ლ. დავითაშვილი